

ნაშრომი თემაზე:

პოლიტიკურ ლიდერზე პერსონიფიცირებული პოლიტიკური
პარტიები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში
(case study - მონტენეგრო, სერბეთი, ხორვატიადა საქართველო)

დემეტრე გრიგალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფავლენიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დემეტრე გრიგალაშვილი

30.06.2017

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პოსტ-კომუნისტური ქვეყნების, მონტენეგროს, სერბეთის, ხოვაციისა და საქართველოს, პოლიტიკურ ლიდერზე პერსონიფიცირებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურისა და საკითხი, მისი ხელშემშლელი და წამახალისებელი ფაქტორები. ჰიბრიდულ დემოკრატიებში, პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, დემოკრატიული ტრანზიციის წარმატებულობა სხვადასხვა აქტორებსა და არსებულ გარემოზეა დამოკიდებული. არსებობს მოსაზრება, რომ ჰიბრიდული რეჟიმები უფრო ავტოკრატიისკენ არის მიმართული, ვიდრე დემოკრატიული მმართველობისკენ. კვლევის მიზანია, აჩვენოს რამდენად ახერხებენ ლიდერზე პერსონიფიცირებული პოლიტიკური პარტიები პარტიული ინფრასტრუქტურის ფორმირებას პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში.

ნაშრომი იყენებს თვისობრივი მეთოდოლოგიის რამდენიმე მიდგომას: საკვლევი საკითხის გადასამოწმებლად გამოყენებულია შემთხვევების სწავლის (case study) მეთოდი, კერძოდ კი ე.წ. დევიაციური შერჩევითი მიდგომა, თითოეული შემთხვევისათვის პროცესზე მიდევნების (process tracing) მეთოდი.

კვლევამ აჩვენა, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიების ლიდერები თამაშობენ ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს, იმისთვის, რომ მოხდეს ან არ მოხდეს პოლიტიკური პარტიის სტრუქტურული გამართვა, პარტიამ შეძლოს ავტონომიური ფუნქციონირება და ეფექტური (საერთო კონსესუსზე დამყარებული) გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის შემუშავება. ზაგადი კანონზომიერება აჩვენებს, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკური ლიდერის გაბანკროტების შემდეგ, მათი პოლიტიკური პარტიები იშლებიან. თუმცა, მონტენეგროს შემთხვევა (დევიაცია) კარგი მაგალითია იმისა, რომ მმართველი პარტია კომუნისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგაც დომინირებს პოლიტიკაში.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული რეჟიმი, ინსტრუქციონალიზაცია, ლიდერზე პერსონიფიცირებული პარტია, დევიაციური შერჩევის მეთოდი.

Abstract

The present research presents investigation of problems and challenges of institutionalizing of leader-personalized political parties in post-communist Montenegro, Serbia, Croatia and Georgia. The success of democratic transition in hybrid democracies of the post-communist states depends on a few political factors and social environment. Some scholarships of Political Science assume that hybrid democracies are fragile and prone to reverse to autocracy. The aim of the research is to illustrate how successfully leader personalized political parties are managing to form party infrastructure on the Deviant Case of Montenegro.

Qualitative research methodology is applied for testing the stated hypothesis, particularly, Case Study method along with the technique of Process Tracing.

According to research, in post-communist countries political leaders play a vital role in organizing party structure to achieve autonomy and create effective (based on consent) decision-making mechanisms. General trend demonstrates that in post-communist states political leaders after losing the election lose the parties as well.

However, the case of Montenegro (deviation) is good example to show how the long term strategy of the incumbent party oriented on state development and forwarding state interests more than party preferences starts building party infrastructure enforcing institutionalization process of the political parties.

Key words: hybrid regime, institutionalization, leader-personalized political party, deviant case.